



პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების
უფლების მიმნიჭებელი საბჭოს

გადაწყვეტილება № 06

2019 წ. “ 05 “ 12

ქ. თბილისი

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის
პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების
უფლების მოპოვების შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების
მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და
პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტების დასკვნისა და პროფესიული
მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი
საბჭოს სხდომაზე, დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის,
შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის N131 დადგენილების
მე-9 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ:
203851028) მიეცეს უფლება განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილი პროფესიული მომზადების და
პროფესიული გადამზადების პროგრამები:

პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციები ს ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში		მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა
					მინიმ.	მაქს.	
მხატვარ- გრიმიორი	პროფესიული მომზადება	მეხუთე	34	ქართულ ი	15	20	20

თეატრალური კოსტუმის მკერავი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	34	ქართული	6	10	12
თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	26	ქართული	6	10	12

2. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს მსმენელთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 44-ით;
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2019 წლის 5 დეკემბრის №2 სხდომის ოქმი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;
4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს სხდომის დღიდან;
5. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით.

მისამართი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
მარიამ ქუჩულორია



მდივანი
მარიკა ზაქარეიშვილი

